ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2013217

ნომერი: AR1323438

თარიღი : 02.07.2015

გაცემის თარიღი : 15.07.2015

გაცნობის თარიღი : 15.07.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 6 , (ნაკვეთი N8/53) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ჭელიძე პ/ნ 01009001743
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 64 ბ. 30

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენიAR1323438 (02.07.15.) განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩა #6–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.14.06.008.141 ოფისი, კაფე-ბარის ფუნქციის ობიექტის ასაშენებლად მომზადებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას ობიექტის ფუნქციის შეცვლის მიზნით, გაცნობებთ: გადაწყვეტილება №1197645 (01.04.2014) მომზადებულია განმცხადებლის ილია პაიჭაძის განაცხადის საფუძველზე, შესაბამისად მასში ცვლილების შეტანა უნდა მოხდეს ძველი აქტის განმცხადებლის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მოთხოვნით. ასევე შესაძლებელია განაცხადში თანაგანმცხადებლად დაფიქსირდეს როგორც ძველი გადაწყვეტილების განმცხადებელი ასევე მესაკუთრე ან წარმოდგენილი იქნეს მათი ნოტარიალურად დამოწმებული თანხმობები აღნიშნული ცვლილების თაობაზე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.